დანართი №1
„დამტკიცებულია“
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2011 წლის „ 17. 02 ”
№ 22/02-01 ბრძანებით

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შენობასა და წიგნსაცავებში დაშვების წესი

1. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შენობაში შესვლა შესაძლებელია:
   ა) სტუდენტის ბილეთით;
   ბ) უნივერსიტეტის სამსახურეობრივი დანიშნულების მოწმობის საშვი-ბარათით;
   გ) სტუმრის დაშვების საშვი-ბარათით;
   დ) წინასწარ შედგენილი სიით, პირადობის მოწმობის საფუძველზე.
2. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დასაქმებული პირების სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების დრო ფიქსირდება სპეციალური ელექტრონული ტექნიკური საშუალების მეშვეობით, სამსახურებრივი დანიშნულების მოწმობის გამოყენებით;
3. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, აგრეთვე, დასვენებისა და უქმე დღეებში ბიბლიოთეკის შენობაში ყოფნა აკრძალულია, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, რაც განსაზღვრული იქნება ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ და ეცნობება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს.
4. ბიბლიოთეკის დირექტორი ამტკიცებს იმ პირთა ნუსხას, რომელთათვისაც ნებადართულია არასამუშაო დროს, დასვენებისა და უქმე დღეებში ბიბლიოთეკის შენობაში დაშვება, რაც ეცნობება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს.
5. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის პასუხისმგებელი თანამშრომელი ვალდებულია, ბიბლიოთეკის შენობაში შემოსულ მოქალაქეებზე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, გააკეთოს ჩანაწერი სპეციალურ ჟურნალში, სადაც გარკვევით მიეთითება მოქალაქის სახელი, გვარი, ვიზიტის მიზანი, ვიზიტზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, შემდგომი გადაადგილების პუნქტი.

   შენიშვნა: მე-5 პუნქტი არ ვრცელდება აბონემენტის განყოფილებასა და სამკითხველო დარბაზში შემოსულ მკითხველზე.

6. სპეციალური სარეგისტრაციო ჟურნალი ინახება დაცვისა და უსაფრთხოების საგუშაგოზე. დამთავრებული, შევსებული ჟურნალი ბარდება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, რომლის შენახვის ვადა განისაზღვრება ერთი წლით.
7. ბიბლიოთეკის შენობაში მოქალაქეთათვის საშვის დაშვების უფლების მქონე პასუხისმგებელ პირთა ნუსხას ამტკიცებს ბიბლიოთეკის დირექტორი, რაც ეცნობება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს.